შპს „პერსპექტივა“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **2019 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შპს „პერსპექტივა“-ს მიერ „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან - **შპს „აა პლასტი“-სთან** სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დირექტორი

ირმა კაციტაძე

ხელშეკრულება #01-35-19
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **2019 წელი**

ერთის მხრივ,
შპს „პერსპექტივა“, წარმოდგენილი დირექტორის **ირმა კაციტაძეს** სახით,
იურიდ/მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404924276;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“;
ბანკის კოდი: LBRTGE22;
IBAN: GE25LB0113138857157001;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ,
შპს „აა პლასტი“ წარმოდგენილი დირექტორის **ლევან ბიწაძეს** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ქვ. ალექსეევკის დასახლება
საიდენტიფიკაციო კოდი: 206271826
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
IBAN: GE39TB7367236060100002;
ტელ: 0322510177; 577449008.
ელ.ფოსტა: aaplast@gmail.com
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

<u>შესყიდვა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.</u>

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **CPV კოდი: 44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნების** შესყიდვა **დანართი#1**-ის მიხედვით.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი #1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **232.00 (ორასოცდათორმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

4.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს შპს „პერსპექტივა“-ს დირექტორი **ირმა კაციტაძე.**

5. **საქონლის მიწოდების ვადები და პირობები**

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება „შემსყიდველის“ მისამართზე, ქ. თბილისი, გლდანი, მოთხოვნიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

5.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქონლის დასახელება, ერთეულის ღირებულება, ჯამური თანხა, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

6.2. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია - შპს „პერსპექტივა“-ს დირექტორი **ირმა კაციტაძე.**

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2. გადახდის ფორმა - უნაღდო.

7.3. დაფინანსების წყარო: **2019 წლის საკუთარი სახსრები.**

7.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

8. ფასები

8.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

8.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური განფასება მოცემული **დანართი #1**-ში, **ფასების ცხრილი.**

8.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4. ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“).

15.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

ფასების ცხრილი

#	CPV-კოდი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში) დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება (ლარში) დღგ-ს ჩათვლით
1	44400000	პოლიეთილენის თერმული ფირი	კგ	40	5.80	232,00
სულ სახელშეკრულებო ღირებულება:						**232,00**

„შემსყიდველი“

შპს „პერსპექტივა“

LTD PERSPEKTIVA

Digitally signed by LTD PERSPEKTIVA
Date: 2019.11.01 18:14:26 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „აა პლასტი“

Levan Bitsadze

Digitally signed by Levan Bitsadze
Date: 2019.11.05 13:58:53 +04'00'